საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არქიეპისკოპოსი

არქიეპისკოპოსი (ბერძნ. archi – მთავარი, უფროსი და episkopos, სიტყვასიტყვით – მეთვალყურე, ზედამხედველი), მთავარეპისკოპოსი, ქრისტიანული ეკლესიის მაღალი იერარქიის ტიტული, რ-საც ატარებდნენ უმეტესად მთავარი ქალაქების ეპისკოპოსები. რომის იმპერიაში კონსტანტინე დიდის დროს (IV ს.) **ა.** ეწოდებოდა მიტროპოლიტს, რ-საც ექვემდებარებოდნენ დიოცეზის ეპისკოპოსები. **ა**-ის ტიტულს დღეს ატარებს ზოგიერთი ავტოკეფალიური ეკლესიის მეთაური. **ა.** ეწოდება აგრეთვე ზოგიერთი პროტესტანტული ეპისკოპალური ეკლესიის მეთაურს (მაგ., კენტერბერის არქიეპისკოპოსი ინგლისში). ქართ. საეკლ. წყობილებაში **ა**-ს შეესატყვისება „მთავარეპისკოპოსი“.

ბ. ლომინაძე